6:2 შესანიშნავი ანგარიში

“დინამო” (თბილისი) – “რესინგი” (პარიზი)

გუშინ პარიზში გაიმართა თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა პირველი გამოსვლა. მათ წინააღმდეგ თამაშობდა საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ერთ–ერთი საუკეთესო წარმომადგენელი – “რესინგ კლუბი”.

პარიზელთა ინტერესი მატჩისადმი უდიდესი იყო და თამაშმა გაამართლა მათი მოლოდინი. შეხვედრა მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში, დაძაბულ ბრძოლაში.

“დინამოს” რამდენიმე იერიშის შემდეგ ანგარიში გახსნა კალოევმა. მცირე ხანი და… მარჯვენა გარემარბმა შაპოვალოვმა მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო ტაიმის დასასრულს ფრანგებმა გაქვითეს ერთი გოლი – 1:2.

დინამოელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. ჯერ კიდევ პირველ წუთებში კალოევმა და იამანიძემ (იგი მარჯვენა შუამარბად თამაშობდა) ანგარიში ოთხამდე აიყვანეს. ამის შემდეგ “რესინგმა” კიდევ ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ ეს იყო ფრანგების უკანასკნელი წარმატება. დარჩენილ დროში კალოევმა და მესხმა ზუსტი დარტყმებით დაამთავრეს გუნდის იერიშები და მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” შესანიშნავი გამარჯვებით ანგარიშით 6:2.

აღსანიშნავია, რომ თამაში მიმდინარეობდა კორექტულ, გულთბილ ვითარებაში.

26 ნოემბერი, 1959 წ.